სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/61

ქ. თბილისი

29 ივლისი 2019

„სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რისკის მართვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 26 ივლისის №05-01/19 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 29 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რისკის მართვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **ზაურ ჩიტიძე**